დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2020 წლის 27 ნოემბრის N01-4/105 (ცვლ:ბრძ. N01-4/103 11.06.2021; ბრძ. N01-4/56 02.05.2024) ბრძანებით

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. დოკუმენტი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებისა და ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის არსი

1.პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად.
პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.
2.პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

მუხლი 3. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძვლები

1. კოლეჯი პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას შეიმუშავებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროგრამის შემუშავების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) პროფესიის სტანდარტი;

გ)პროფესიულ-საგანმანათლებლო სტანდარტი;

გ) მოდული/მოდულები;

დ) საქართველოს კანონით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისათვის დადგენილი მოთხოვნები;

ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი ISCO-08ან/და საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ;

2. პროგრამის შემუშავების საფუძველი ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფუძვლების გარდა შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

3. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება ამ წესის დანართის შესაბამისად (დანართი N1).

4. კოლეჯი მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოს შესაბამისი მექანიზმის შემუშავებას.

მუხლი 4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებიესმიერ დაინტერესებულ პირს (დამსაქმებელი, კოლეჯი, სახელმწიფო უწყება და სხვ); ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით კოლეჯის დირექტორის სახელზე.

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, თან უნდა ახლდეს დასაბუთება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროების შესახებ;

3. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება შესაბამისი კვლევის ან დამასქმებლის მომართვიანობის საფუძველზე;

4. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქნება მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც განიხილავს პროგრამის დამატების ინიცირების შესახებ განაცხადს;

5. კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამატების ან დამატებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით.

6. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ზრდასრულთა განათლების კორდინატორი, და მის შემადგენლობაში შედიან პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენლები/დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები;
7. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
8. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი შესათანხმებლად წარედგინება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს;
9. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამას ითანხმებს ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
10. პროგრამის ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი რეკომენდაციებით პროგრამას უბრუნებს სამუშაო ჯგუფს, რომელიც 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს პროგრამის კორექტირებას.
11. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;
12. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამას თან უნდა ახლდეს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ;
13. დაწესებულება ვალდებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს შესაბამის პროგრამაზე/მოდულზე დაშვების წინაპირობები;

მუხლი 5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული სგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნების, პროგრამის განვითარება/გაუმჯობესების მიზნით ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით;
3. პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზანშეწონილობას ადგენს პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

4. პროგრამაში ცვლილების შეტანა შეთანხმებული უნდა იქნას კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან;

5. პროგრამაში ცვლილება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სამსახურებრივი ბარათის დოკუმენტაციის საფუძველზე;

6. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, კოლეჯი ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს ამის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს;

7. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება ახალი დამსაქმებელი, პროგრამაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე ცენტრს;

მუხლი 6. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის გაუქმება

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) იმ დოკუმენტის გაუქმება, რომელიც საფუძვლად დაედო შესაბამის პროგრამას;

ბ) სხვა არსებითი გარემოება.

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა უქმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

დანართი N1

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება:
პროგრამის სახე: ☐ პროფესიული მომზადება ☐ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☐ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური --------- მაქსიმალური ---------
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:
პროგრამის მიზნები:
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)
პროგრამის შემუშავების საფუძველი:
პროგრამის მოკლე აღწერა:

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა ----------	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი